EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

იანვარი 2011 №1 (23)

ევროკავშირის ახალი სტრატეგია შავი ზღვის რეგიონის მიმართ

2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა შავი ზღვის ქვეყნებთან დაკავშირებით ახალი სტრატეგია დაამტკიცა. ეს არის ევროპარლამენტის მიერ მიღებული პირველი დოკუმენტი, რომელიც რუმინელი დეპუტატის და ევროპის სახალხო პარტიის წევრის ტრაიან უნგურეანუს ანგარიშზე დაყრდნობით მომზადდა და რომელშიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მიმართებით ტერმინი "ოკუპაცია" ოფიციალურად ჩაიწერა.

სტრატეგიაში ნათქვამია, რომ - "შავი ზღვის აუზი სტრატეგიული ხიდია, რომელიც აკავშირებს ევროპას და კასპიის ზღვას, შუა აზიას და ახლო აღმოსავლეთს. აუზი მოიცავს ევროკავშირის ქვეყნებს - ბულგარეთს, საბერძნეთს, რუმინეთს, კანდიდატ ქვეყანას თურქეთს და სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორებს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას, ასევე რუსეთს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს."

რეზოლუციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლია, რომელიც კონკრეტულად საქართველოს და იქ არსებულ ვითარებას შეეხება. საგულისხმოა შემდეგი :

24-ე მუხლში წერია - "მოვუწოდებთ ევროკავშირის ვიცე პრეზიდენტს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენლებს, გააქტიურონ ძალისხმევა, რომ რუსეთმა შეასრულოს სარკოზის 6-პუნქტიანი გეგმა, რათა მოხდეს საქართველოში არსებული კონფლიქტის სტაბილიზაცია და მოგვარება".

32-ე მუხლი - "მსოფლიოში უნდა გაიზარდოს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა და დემოკრატია, რაც ევროკავშირის პრიორიტეტებს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა დარღვევა ყოველდღიურად ხდება ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მოუწოდებთ ევროკავშირის სტრუქტურებს აქტიურად იმოქმედონ ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ფაქტზე შავი ზღვის რეგიონში."

ევროპარლამენტი განსაკუთრებით აღნიშნავს ევროკავშირისთვის შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ როლსა და მნიშვნელობას და ხაზს უსვამს გაძლიერებული ძალისხმევის აუცილებლობას რეგიონში ისეთი გამოწვევების აღმოსაფხვრელად, როგორიც არის მოუგვარებელი კონფლიქტები, იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა, რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოებები, ტრანს-სასაზღვრო დანაშაული, ტრეფიკინგი და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპარლამენტი გამოხატავს შეშფოთებას ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შექმნილი ვითარებისა და განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამო.

ევროპარლამენტის რეზოლუცია სხვა საკითხებთან ერთად, ევროკავშირს "პირდაპირი ჩართულობისკენ" და „მოლაპარაკებებსა და სამშვიდობო პროცესებში წამყვანი როლის" შესრულებისკენ მოუწოდებს.

ევროკავშირის გაფართოებასა და სამეზობლო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა კომისარმა შტეფან ფულემ კოლეგებს რეზოლუციის იმ რეკომენდაციების მხარდაჭერისკენ მოუწოდა რომლებიც შავიზღვისპირეთში სასწრაფო ყურადღებას საჭიროებენ: კონფლიქტები, ჩაკეტილი საზღვრები, რუსეთის ფლოტის განთავსება ყირიმში, ევროპის ენერგო უსაფრთხოება.

სრულყოფილად ევროპარლამენტის ახალი სტრატეგიის ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე:
http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0//EN&language=EN

ევროკალენდარი

1 თებერვალი
ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიის განხილვა მინისტერთა კონფერენციაზე
(ბრიუსელი, ბელგია)

21 თებერვალი
საგარეო საქმეთა საბჭოს ყოველთვიური შეხვედრა.
(ბრიუსელი, ბელგია)

24 – 25 თებერვალი
თავდაცვის მინისტრების არაფორმალური შეხვედრა.
(ბუდაპეშტი, უნგრეთი)

23 თებერვალი
ევროკომისიის ყოველკვირეული შეხვედრა.
(ბერლიმონტი, ბრიუსელი)

7 – 8 თებერვალი
ტრანსპორტის მინისტრების არაფორმალური შეხვედრა.
(ბუდაპეშტი, უნგრეთი)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

იანვრის დაიჯესტი

ტერმინი "ოკუპაცია" ევროპარლამენტის ახალ სტრატეგიაში

ევროპარლამენტმა დაამტკიცა ახალი სტრატეგია შავი ზღვის ქვეყნებისადმი. ეს არის ევროპარლამენტის მიერ მიღებული პირველი დოკუმენტი, რომელშიც ჩაიწერა ტერმინი "ოკუპაცია" სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მიმართებით.

დოკუმენტი ერთხელ კიდევ მოითხოვს რუსეთისაგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მასში მწვავედაა დაგმობილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები.

საავიზო და რეადმისიის ხელშეკრულებები ძალაში მარტიდან შევა

2011 წლის 1 მარტს ძალაში შევა საქართველოსთან საავიზო მიმოსვლის გამარტივებისა და უკანონო მიგრანტთა რეადმისიის თაობაზე ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიცირება ევროპარლამენტმა დეკემბერში მოახდინა, – ნათქვამია ევროკავშირის ოფიციალურ განცხადებაში.

აღნიშნული ხელშეკრულებები ევროკავშირის საბჭომ 18 იანვარს დაამტკიცა.

გაერთიანებული სამეფო და ირლანდია ევროკავშირისგან დამოუკიდებელი საავიზო პოლიტიკის გამო არ მონაწილეობენ საავიზო რეჟიმის გამარტივების ხელშეკრულებაში, ხოლო ირლანდია და დანია - რეადმისიის ხელშეკრულებაში.

საავიზო რეჟიმის გამარტივების ხელშეკრულება საქართველოს მოქალაქეთა 22 კატეგორიას უადვილებს ვიზის აღების პროცედურებს. კერძოდ, საკონსულო მოსაკრებელი ამჟამად არსებული 60 ევროდან 35 ევრომდე შემცირდება და გადასახადისაგან თავისუფლდებიან 12 წლამდე ბავშვები, ევროკავშირში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ოჯახის წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, უნარშეზღუდული პირები, მეცნიერები, სტუდენტები, ჟურნალისტები და სპორტსმენები ხელშეკრულების თანახმად, გადაწყვეტულება ვიზის გაცემის თაობაზე მიღებული უნდა იქნას განაცხადის შეტანიდან 10 დღის განმავლობაში.

ხელშეკრულება რეადმისიის შესახებ განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლებისთვის ვალდებულებებს და პროცედურებს ევროკავშირში უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეთა სამშობლოში დასაბრუნებლად.

მინი ნატო?

ჰელსინკიში დაგეგმილ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე განხილული იქნება ჩრდილოეთ ევროპაში, ე.წ. "მინი ნატოს" შექმნის იდეა. წინასწარი შეთანხმება ჩრდილოთ ევროპის ლიდერებმა ლონდონში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს, სადაც ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ—ეკონომიკური საკითხები განიხილეს.

ალიანსის შექმნის იდეას მრავალი ექსპერტი დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ ახალი ალიანსის შექმნა რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის დოქტრინამ დააჩქარა. სამხედრო დოქტრინა დიმიტრი მედვედევმა 2010 წლის დასაწყისში წარადგინა.

ამერიკა და ევროკავშირი ბელორუსს ერთობლივ სანქციებს დაუწესებენ

ამერიკა და ევროპა იმედოვნებენ, რომ ბელორუსის მაღალჩინოსნების მიმართ მგზავრობის უფლების აკრძალვის დაწესებით, ალექსანდრე ლუკაშენკოს იმ პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას აიძულებენ, რომლებიც არჩევნების პერიოდიდან დღემდე ციხეში იმყოფებიან.

ევროპელი კანონმდებლების განცხადებით, ულტიმატუმების მიუხედავად, ბელორუსს ჯერ კიდევ აქვს დრო თავიდან აიცილოს სანქციები, თუ კი პოლიტპატიმრების გათავისუფლება დროულად მოხდება.

შესაბამისი გადაწყვეტილებები ევროკავშირსა და აშშ-ში ბელორუსის ხელისუფლების წარმომადგენელთა მგზავრობის აკრძალვის შესახებ ვაშინგტონსა და ბრიუსელში მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში იქნება მიღებული. გარიცხავენ თუ არა ბელორუსს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივიდან, ეს საკითხი ევროკავშირის გადასაწყვეტია და ვაშინგტონი პატივს სცემს მის ნებისმიერ არჩევანს.

პოლონეთმა უკვე შემოიღო ცალმხრივი საავიზო სანქციები ბელორუსის ლიდერისა და მისი სამთავრობო ნომენკლატურის ასიოდე წევრის მიმართ.

ბუზეკი : "ევროკავშირის ბიუჯეტის გაყინვა ძალიან სახიფათოა"

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა იერჟი ბუზეკმა განაცხადა, რომ ევროკავშირის ბიუჯეტის გაყინვა, როგორც ამას რამდენიმე წევრი სახელმწიფო მოითხოვს, ძალიან სახიფათოა, რადგან ევროკავშირს დიდი ინვესტიციები ჭირდება ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად.

ევროპარლამენტის პრეზიდენტის განცხადებით, "27 სახელმწიფოსგან შემდგარმა ბლოკმა თავისი კონკურენტუნარიანობის აღდგენა უნდა მოახდინოს ახალი ინვესტიციების, ინოვაციების და ახალი იდეების განხორციელების ხარჯზე."

"სტრუქტურული ფონდები მთავარი ინსტრუმენტია კონკურენტუნარიანობის აღსადგენად. ჩვენ უნდა დავხარჯოთ მეტი თანხა ახალი პოლიტიკის და ტექნოლოგიების განვითარებისთვის" – განაცხადა ბუზეკმა.

ლისაბონის ხელშეკრულება და ევროკავშირის ახალი გრძელვადიანი სტრატეგია „ევროპა 2020" ეკონომიკური ინიციატივების მეტ საშუალებას იძლევა. ევროპარლამენტი განაგრძობს ბრძოლას იმისთვის, რომ მოიპოვოს დამატებითი რესურსები ევროკავშირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აღნიშნა ბუზეკმა.

გამოყენებული წყაროები:
www.euractiv.com; www.euobserver.com; www.europeanvoice.com

გიორგი ბარამიძემ ხელი მოაწერა ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ეროვნული ინდიკატური პროგრამის 2010 წლის სამოქმედო გეგმის საფინანსო შეთანხმებებს

ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში ხელი მოეწერა 2010 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ორ საფინანსო შეთანხმებას, რომლითაც ევროკავშირი საქართველოს 18.2 მლნ. ევროს დახმარებას უზრუნველყოფს. დოკუმენტებს ევროკომისიის სახელით ხელი მოაწერა ევროკომისიის განვითარებისა და თანამშრომლობის დირექტორატის ხელმძღვანელმა მარკუს კორნარომ, ხოლო საქართველოს მთავრობის სახელით – ვიცე-პრემიერ მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. ხელმოწერას ესწრებოდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ფილიპ დიმიტროვი.

პირველი საფინანსო შეთანხმების – "დახმარება სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდასაჭერად" – ფარგლებში გათვალისწინებულია თერთმეტი მილიონი ევრო, საიდანაც ათი მილიონი ევრო პირდაპირ იქნება მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 1 მილიონი ევრო საბიუჯეტო დახმარების ფარგლებში შესაბამისი ტექნიკური დახმარების პროექტების დაფინანსებას მოხმარდება. აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირის მხრიდან საქართველოს პოლიტიკური და ფინანსური სისტემების ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და მდგრადობის კიდევ ერთი აღიარების გამოვლინებაა.

ეს მორიგი დახმარება მეორე ეტაპია იმ პროგრამისა, რომლის ფარგლებში 2007 წელს საქართველომ 16 მილიონი ევროს საბიუჯეტო დახმარება მიიღო და რაც მომდევნო სამი წლის განმავლობაში იქნა ათვისებული.

მეორე საფინანსო შეთანხმების – "საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა "ტვინინგი" და ტექნიკური დახმარება სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მხარდასაჭერად" – ფარგლებში განსაზღვრულია 7,2 მილიონი ევროს დახმარება, რომელიც მოხმარდება საქართველოს სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციურ განვითარებას ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

ანმჟამად პროგრამა „ტვინინგის" ფარგლებში საქართველოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ორი პროექტი ხორციელდება. გაერთიანებული სატრანსპორტო ადმინისტრაციის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტში პროექტზე მუშაობა თებერვლიდან დაიწყება. კიდევ ექვსი პროექტი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში 2011 წლის ბოლომდე ამოქმედდება. 13 პროექტი მომზადების სხვადასხვა ეტაპზეა.

ევრობიბლიოთეკა

ევროკავშირის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა



"Building a Liberal Europe: The ALDE Project"
(Graham Watson led the Liberal group in the European Parliament from 2002 to 2009)
გამომცემელი: John Harper
ავტორი: Graham Watson
ენა: ინგლისური. 2010



"Selected National, European and International Provisions from Public and Private Law; The Maastricht Collection (second edition)"
(This second edition is an expanded and updated volume)
გამომცემელი: John Harper Publishing
ავტორი: Dr. Philipp Kiiver & Dr. Nicole kornet
ენა: ინგლისური. 2010



"Human Rights Law and Business; Corporate Responsibility for Fundamental Human Rights"
გამომცემელი: Europa Law Publishing
ავტორი: Jarnej Letnar Cernic
ენა: ინგლისური. 2010

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ:
http://eubookshop.com/1

ევროსტატისტიკა

ევროპელთა აზრი ერთიანი სავალუტო სივრცის შესახებ

როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის და დანიის გარდა, ევროკავშირის ყველა ქვეყანა, განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, ვალდებულია შემოიღოს ერთიანი ვალუტა. ევროკავშირს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული ევროს შემოღების ერთიანი სტრატეგია და ამდენად თითოეული სახელმწიფო ევროზონაში გაერთიანება სხვადასხვა დროს ხდება.

ევროზონაში არმყოფი ევროკავშირის სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის ჩატარდა გამოკითხვა ერთიან სავალუტო სივრცეზე მოსახლეობის ინფორმირებულობის შესახებ. კითხვაზე, თუ რამდენი სახელმწიფოა ევროზონის წევრი, სწორი პასუხი მხოლოდ 32-მა% გასცა. გამოკითხულთა 20-ის% აზრით, მათი ქვეყანა ევროზონას 2016 წელს შეუერთდება, ხოლო 41-ს% მიაჩნია, რომ ეს 2013-2015 წლებში მოხდება. 60% ფიქრობს, რომ მათ ქვეყანას ევროზონაში შესვლის საკითხში არჩევანის საშუალება აქვს; მხოლოდ 32-მა% გასცა სწორი პასუხი, რომ ქვეყანას ნაკისრი აქვს ვალდებულება, შეუერთდეს ერთიან სავალუტო სივრცეს.

გამოკითხულთა მხოლოდ 51-მა% იცოდა, რომ ევრობანკნოტები ყველა ქვეყანაში ერთნაირია და 36-მა%, რომ ევროცენტების დიზაინი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. რესპოდენტთა მხოლოდ 83-ს% ჰქონდა ნანახი ევრობანკნოტები და 77-ს% ევროცენტები.

უმრავლესობას მიაჩნია, რომ არ აქვს სათანადო ინფორმაცია ევროზონაში შესვლის ეკონომიკურ შედეგებზე.

ევროს შესახებ ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროდ ეროვნული ბანკი და ევროპული ინსტიტუტები დასახელდა. 70-მდე% რესპოდენტმა სწორედ ამ ორგანოებიდან ისურვა სათანადო ინფორმაციის მიღება. ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტურ წყაროდ გამოკითხულთა 90-მა% ტელევიზია, 80-მა% - ბანკი, 78-მა% - ბეჭდვითი მედია, 77-მა% - რადიო და 74-მა% - ინტერნეტი დაასახელა.

გამოკითხულთა 47-მა% აღნიშნა, რომ ევროს შემოღება დადებით შედეგს მოუტანს ქვეყანას, ხოლო 43-მა% კი - უარყოფითს. 69% თვლის, რომ მოხდება ფასების ზრდა და მხოლოდ 19-ს% მიაჩნია, რომ გაუმჯობესდება ფასების სტაბილურობა. 51-ის% აზრით, ერთიან სავალუტო ზონაში შესვლით მოქალაქეები უფრო მეტად იგრძნობენ თავს ევროპელებად. უმრავლესობის აზრით, ევროს შემოღებით საგრძნობლად გამარტივდება მოგზაურობა და ვაჭრობა. კერძოდ, 90-ის% აზრით, ერთიან სავალუტო ზონაში ყოფნა მოსახერხებელია მგზავრობისას, 85-თვის% ეს გაამარტივებს სხვა ქვეყანაში საყიდლებზე სიარულსა და ფასების შედარებას ; 76-მა% აღნიშნა, რომ შეუმცირდებათ ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებული ხარჯები.

ევრო პარლამენტი

ერთ-ერთი ყველაზე დიდებული პარლამენტის შენობის _ უნგრეთის ეროვნული ასამბლეის შექმნის ქრონიკა

1882 წელს გამოცხადდა კონკურსი უნგრეთის საკანონმდებლო ორგანოს შენობის პროექტზე. გაიმარჯვა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა იმრე შტეინდლმა. მშენებლობა მიმდინარეობდა 1885-1904 წწ. უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, რომელიც 1873 წელს ისტორიულად ჩამოყალიბებული სამი ნაწილის: ბუდას, პეშტისა და ობუდას გაერთიანების შედეგად ერთიან ქალაქად გადაიქცა. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდებული პარლამენტის შენობის არქიტექტორმა იმრე შტეინდლმა შენობა დასრულებული სახით ვერ იხილა, ვინაიდან მშენებლობის დამთავრებამდე დაბრმავდა. ნაგებობა მდებარეობს მდინარე დუნაის მარჯვენა ნაპირზე. ვესტმინსტერის სასახლის მსგავსად შენობა ნეოგოტიკური ნაგებობაა.

1848 ეროვნული პარლამენტის შექმნის იდეა უნგრელ რევოლუციონერებს ეკუთვნის.

1860 გადაწყვეტილება უნგრეთის პირველი პარლამენტის მოწვევის შესახებ იმპერატორ ფრანც იოსების მიერ დამტკიცებულ კონსტიტუციაში აისახა.

1861 იმპერატორმა ფრანც იოსებმა უნგრეთს შიდა საქმეების უნგრეთის სახელმწიფო კრებაზე განხილვისა და საერთოიმპერიული საკითხების გადაწყვეტაში ჰაბსბურგების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – რაიხსტაგში მონაწილეობის უფლება მისცა, რაზეც უნგრეთმა უარი განაცხადა.

1867 შეიქმნა ავსტრია-უნგრეთის იმპერია, რომლის ორივე ნაწილში არსებობდა საკუთარი საკანონმდებლო ორგანო – ავსტრიის რაიხსტაგი და უნგრეთის სეიმი.

1918 უნგრეთი გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

1919-1944 ქვეყანას მართავდა დიქტატორი მილოშ ხორტი.

1945 საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში კოალიციური მთავრობა მოვიდა, რომლის წამყვან ძალას წვრილ მეურნეთა დამოუკიდებელი პარტია წარმოადგენდა.

1947 ხელისუფლებაში მოვიდა მემარცხენე პარტიათა ბლოკი.

1949 ქვეყანაში გაბატონებულ პოლიტიკურ ძალას კომუნისტები წარმოადგენდნენ.

1989 23 ოქტომბერს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, უნგრეთი საპარლამენტო დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა. საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა, რომელიც შედგება 386 წევრისგან და ირჩევა 4 წლის ვადით.

2004 1 მაისს უნგრეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა.

რობერტ ბოშის ფონდის სტიპენდიები კულტურის მენეჯმენტი ახალგაზრდა ხელოვანთათვის

რობერტ ბოშის ფონდის (გერმანია) აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა ხელოვანთათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აღმოსავლეთ, ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც დასაქმებული არიან კულტურის სფეროში. სტიპენდიის ხანგრძლივობაა: ცამეტი თვე (დასაწყისი: 2011 წლის ოქტომბერი).

დაინტერესებული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ჰქონდეს კულტურის მენეჯმენტში ან პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- წარმოადგენდეს ცენტრალური, აღმოსავლეთ ან სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქეს;
- სრულყოფილად ფლობდეს გერმანულ ენას;
- ჰქონდეს უმაღლესი განათლება;
- პროგრამა ითვალისწინებს:
- ყოველთვიურ სტიპენდიას 1000 ევროს ოდენობით;
- მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას გერმანიასა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე;
- დამატებით დახმარებას პროგრამის პერიოდში და სამშობლოში პროფესიული საქმიანობის დასაწყისში;
- მოსამზადებელ სემინარს 2011 წლის ოქტომბერში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ რეგულარულ კურსებს;
- კონტაქტების დამყარებას რობერტ ბოშის ფონდის სხვა პროგრამებთან, აგრეთვე კულტურისა და განათლების პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვან სფეროებთან თუუ პირებთან.

განაცხადის ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 3 მარტი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი წწწ.ილიაუნი.ედუ.გე ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11

euinfocentre@parliament.ge

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად"

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას
" ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად "
საქართველოს რადიოს
პირველი არხი

კონრად ადენაუერის სახელობის
ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს
4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung

ნომერზე მუშაობდნენ: ირინა სერსვაძე, თეა ფარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა.

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge